ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის სამედიცინო-სოციალური დახმარების მიმართულებით გაწეული მუშობის შესახებ (2013წელი)

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საანგარიშო პერიოდში ახორციელებდა საქმიანობას სხვადასხვა მიმართულებით.

სამინისტროს მიზანია აფხაზეთის მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფის ხელშეწყობა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების, დაავადებათა გართულებების და მოკვდაობის მაჩვენებლის შემცირების მისაღწევად. რაც ხორციელდება აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებთა სტაციონარული მკურნალობისა და ამბულატორიული დახმარების პროგრამებით. მათი რეალიზაციისთვის სამინისტროს მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გამოცხადდა ელექტრონული ტენდერები.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტების ფარგლებში სამინისტროში მოქმედებდა შემდეგი პროგრამები:

1. **აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებთა სტაციონარული მკურნალობის პროგრამა** ითვალისწინებდა აღნიშნული დახმარების ცალკეული სახეების ღირებულების დაფინანსებას.

1.1 **მშობიარობის ხელშეწყობის კომპონენტი** – ითვალისწინებდა როგორც ფიზიოლოგიურ მშობიარობას, ისე საკეისრო კვეთას. დახმარება გაეწია 59 ბენეფიციარს კომისიური გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა 26875ლარის სამედიცინო მომსახურება. პროგრამა განხორციელდა „წმიდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრში“.

1.2 **ონკოლოგიური პათოლოგიების ქიმიოთერაპიული მკურნალობის კომპონენტი** ითვალისწინებდა პროფილური მკურნალობის დაფინანსებას. დახმარება გაეწია 48

მოქალაქეს, კომისიური გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა 21564,45 ლარის სამედიცინო მომსახურება. პროგრამა განხორციელდა შპს „ავერსის კლინიკაში“.

1.3 **თვალის ქირურგიული მკურნალობის კომპონენტი** ითვალისწინებდა კატარაქტის და გლაუკომის ოპერაციული მკურნალობის, ოფთალმოლოგის კონსულტაციის და წინასაოპერაციო კვლევების დაფინანსებას. დახმარება გაეწია 13 ბენეფიციარს. კომისიური გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა 3018.80 ლარის სამედიცინო მომსახურება. პროგრამა განხორციელდა შპს „ავერსის კლინიკაში“.

1.4 **ოტორინოლარინგოლოგიური პროფილის ქირურგიული მომსახურების კომპონენტი** ითვალისწინებდა პროფილური ოპერაციული მკურნალობის, ოტოლარინგოლოგის კონსულტაციის და წინასაოპერაციო კვლევების დაფინანსებას. პროგრამა განხორციელდა შპს „მედელიტში“. დახმარება გაეწია სულ 10 ბენეფიციარს. კომისიური გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა 3000 ლარის სამედიცინო მომსახურება. პროგრამა დასრულდა II კვარტალში.

2. **აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებთა ამბულატორიული დახმარების პროგრამა** ითვალისწინებდა აღნიშნული დახმარების ცალკეული სახეების ღირებულების დაფინანსებას.

2.1 **ბირთვულ მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევების კომპონენტი -** განხორციელდა ქ.თბილისში შპს „ავერსის კლინიკაში“. პროგრამის ფარგლებში გამოკვლევა ჩაუტარდა 164 ბენეფიციარს. კომისიური გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა 38500 ლარის სამედიცინო მომსახურება.

2.2 კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოკვლევის კომპონენტი მიმართული იყო რთულ შემთხვევებში დიაგნოზის ვერიფიცირებისთვის. დახმარება გაეწია 243 ბენეფიციარს, პროგრამა განხორციელდა შპს „მედულაში“.. კომისიური გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა 18767 ლარის სამედიცინო მომსახურება.

2.3 ამბულატორიული გამოკვლევების კომპონენტი ითვალისწინებდა პაციენტთა კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევების დაფინანსებას. დახმარება გაეწია 241 ბენეფიციარს, .კომისიური გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა 12273 ლარის სამედიცინო მომსახურება. პროგრამა განხორციელდა „ავერსის კლინიკაში“.

2.4. **ამბულატორიული პროგრამის სარეაბილიტაციო მკურნალობის კომპონენტის** ფარგლებში დახმარება გაეწია 50 ბენეფიციარს, ანაზღაურებული თანხა შეადგენს 9090.5 ლარს. პროგრამა განხორციელდა ს.ს „ვერე-XXI“-ში.

2.5 ბირთვულ მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევების და კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოკვლევის კომპონენტი ითვალისწინებდა პაციენტთა ბირთვულ მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევებისა და კონტრასტით კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოკვლევების დაფინანსებას. მიმართული იყო რთულ შემთხვევებში დიაგნოზის ვერიფიცირებისთვის. დახმარება გაეწია 104 ბენეფიციარს, პროგრამა განხორციელდა „ავერსის კლინიკაში“. კომისიური გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა 21025 ლარის სამედიცინო მომსახურება.

3 აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებთა მედიკამენტებით დახმარების პროგრამა ითვალისწინებდა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის, ძირითადად ბავშვების და ომის ვეტერანების ადექვატური მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტების

ღირებულების ანაზღაურებას. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, კომისიის მიერ, დადებითად იქნა გადაწყვეტილი 79 ბენეფიციარის დახმარების საკითხი, ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 4800 ლარი.

4. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობის მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნის პროგრამის“ ფარგლებში გაფორმდა ხელშეკრულება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გამარჯვებულ შპს „ქორსოფთთან“, რომელმაც განახორციელა სამინისტროს მიერ მიწოდებული სტატისტიკური ანგარისების დამუშავება ცხრილურად და გრაფიკულად.

5. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებთა პროფესიული სწავლება/გადამზადების პროგრამის ფარგლებში ს.ს.მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში პროფესიული სწავლება/გადამზადება გაიარა 55 პირმა. ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 7020 ლარი.

4. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების პროგრამის – ფარგლებში 2013 წლის 17 მარტს ჩატარდა მრავალპროფილური სამედიცინო-პროფილაქტიკური გასინჯვების აქცია ქ.თბილისში, ჯავახეთის ქ.№68-ში არსებულ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტში. სულ მომსახურებულ იქნა 338 ვიზიტი. გაისინჯა 90 დევნილი. ღონისძიება უზრუნველყოფილი იყო ჰუმანიტარული ტვირთით და მედიკამენტებით.

2013 წლის 30 მარტს ჩატარდა მრავალპროფილური სამედიცინო-პროფილაქტიკური გასინჯვების აქცია ქ.თბილისში, ბაგრატიონის ქ. №4-ში არსებულ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტში. აქციაში მონაწილეობდა მრავალპროფილიანი საექიმო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებული

იყო შპს „ნეოკლინიკის“ მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. სულ მომსახურებულ იქნა 200 ვიზიტი.

2013 წლის 1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ბავშთა ახალი კლინიკის ბაზაზე ჩატარდა სამედიცინო პროფილაქტიკური გასინჯვების აქცია იძულებით გადაადგილებული ბავშვებისათვის. ღონისძიება ორგანიზებული იყო ფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ბავშვთა ახალი კლინიკის მიერ.

ღონისძიების ძირითად მიზანს წარმოადგენდა დევნილ ბავშვებში დაავადებათა ადრეული დიაგნოსტიკა, მაღალკვალიფიციურ სამედიცინო დახმარებაზე ხელმისაწვდომობის გზით მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის ხელშეწყობა და პრევენცია.

აქციაში მონაწილეობდა მრავალპროფილიანი საექიმო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებული იყო ბავშვთა ახალი კლინიკის მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტებით; აქციის პროცესში მომსახურებულ იქნა სულ 148 ვიზიტი,

2013 წლის 14 ივნისს, თეთრიწყაროს რაიონის სოფელ კოდაში, დევნილთა ჩასახლებაში, ჩატარდა დევნილთა სამედიცინო პროფილაქტიკური გასინჯვების აქცია. ღონისძიების პროცესში მომსახურებულ იქნა 356 ვიზიტი, თანხით - 1252 ლარი. აქციაზე ასევე გაიცა 253.34 ლარის ღირებულების ჰუმანიტარული ტვირთი.

2013 წლის 21 ნოემბერს ჩატარდა მრავალპროფილური სამედიცინო-პროფილაქტიკური გასინჯვების აქცია ქ.თბილისში, ვარკეთილში (IIIმასივი, IV კვარტალი, IX კორპუსი) არსებულ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტში. გაისინჯა 120 დევნილი. ღონისძიება უზრუნველყოფილი იყო ჰუმანიტარული ტვირთით და მედიკამენტებით.

სანგარიშო პერიოდში სამინისტროსთვის მოწოდებულ იქნა **352892,14** ლარის ღირებულების ჰუმანიტარული ტვირთი სხვადასხვა ორგანიზაციებიდან. კერძოდ: შპს „ლიბო გრუპი“, შპს „ავერსი-ფარმა“, „ USAID“. საერთაშორისო დახმარებისა და განვითარების სააგენტოსგან-IRD. „ქართველ ხალხთა ერთობა XXI საუკუნე საქართველო“, შპს „ბადაგონი“. IRD –მიერ მოწოდებული ტვირთი დასაწყობებულ იქნა ქ.ზუგდიდის მერიის ე ბაზწესებულეაზე, ხოლო შემდეგ კომისიური წესით გადაეცა გალის რაიონის სამედიცინოულებ დაწესებულებებს.

ინდივიდუალური ჰუმანიტარული დახმარების გაწევის მიზნით, სამინისტროში შემოსული განცხადებების საფუძველზე, გაცემული საქონლის ღირებულებამ შეადგინა 187696.6 ლარი. განცხადებების განხილვა ასევე ხორციელდებოდა კომისიური წესით.

სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვისა და პროგრამული უზრუნველყოფის დეპარტამენტი საანგარიშო პერიოდში ახორციელებდა აფხაზეთიდან დევნილი, ასევე ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ხელშემწყობ საქმიანობას.

საანგარიშო პერიოდში სულ განხორციელდა 1671 მიღება, ამავდროულად სამინისტროს ხელმძღვანელების რეზოლუციების შესაბამისად, დამუშავებულია მოქალაქეთა 1243 განცხადება, გაიგზავნა 263 მიმართვა სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში.

20013 წლის 27 დეკემბერს ჩატარდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და სამინისტროს ერთობლივი ღონისძიება ქ.თბილისის №200 პანსიონატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდებისათვის, 25 ბავშვს გადაეცა საჩუქარი.

აფხაზეთიდან დევნილი მრავალშვილიანი დედებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის სამინისტროში გაიმართა მიღება. მინისტრმა მათ პირადად მოულოცა დამდეგი ახალი წელი და საჩუქრები გადასცა. საჩუქარი 15-მა მრავალშვილიანი დედამ და 20-მა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვმა მიიღო.

სამინსტრო აქტიურად თანამშრომლობდა არასამთავრობო სექტორთან.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საქმიანობაში შეტანილი იქნა გარკვეული კორექტივები, რომელიც მიმართულია როგორც ამ სამთავრობო სტრუქტურის, ისე, მის სისტემაში შემავალი სამედიცინო დაწესებულებების, მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისთვის. ძირითადი აქცენტი გაკეთდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტულ მიმართულებათა რეალიზაციაზე, აფხაზეთის მოსახლეობისთვის სამედიცინო სერვისის მიწოდების საკვანძო საკითხებზე.

მნიშვნელოვანი იყო შეხვედრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელებთან, სადაც გამოიკვეთა თანამშრომლობის მნიშვნელოვანი საკითხების ნუსხა, მათ შორის, გალის რაიონში

მოქმედ სამედიცინო დაწესებულებებთან მიმართებაშიც. შედგა სამინისტროს ხელმძღვანელობის რამდენიმე გასვლა რეგიონებში, მათ შორის, ბორჯომში, ზუგდიდში.

ტრადიციულად, მჭიდრო კონტაქტები გვქონდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს მინისტრის აპარატთან როგორც ოკუპირებული აფხაზეთიდან გადმოყვანილ, ისე დევნილ პაციენტთა სამედიცინო დახმარების საკითხებზე.

ჩატარდა სტრუქტურული რეორგანიზაცია შტატების ოპტიმიზაციით, შესაბამისი საკადრო ცვლილებებით.